ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. მაისის 31. № 10 ტფილისი

შინაარსი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

88. „სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

89. „საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ერთპიროვნულ მეურნეთა თესვის გეგმის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტი 26-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

90. „თამბაქოს სავალდებულო დარგვისა და 1934 წლის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის გეგმის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

91. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშის გასწორების წესის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

92. „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის ასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ.

93. ხმარებიდან გამოსული ავტო-მოტო-რეზინის „რეზინოსბიტის“ ამიერ-კავკასიის კონტორისათვის ჩაბარების შესახებ.

ტრანსპორტი.

94. ავტოტრანსპორტის მომუშავეთა დაპრემიების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

95. „სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის მე-2[1] და 14 მუხლის დამატების შესახებ.

ფინანსები.

96. „საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის სა-

გადასახადო შეღავათების მინიჭების ბთაოაზე“ გამოცემული დადგენილების მოქმედების განგრძობის შესახებ.

97. „სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე დადებული ჯარიმებისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხების განაწილების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგ ენილების 1-ლი მუხლის შენიშვნის გაუქმების შესახებ.

შრომა.

98. საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მომუშავეთა ა/კსფსრ-ის ფარგლებს გარეთ წარვლინების წესის შესახებ.

განათლება.

99. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის სპეციალურ კოლექტორში წარსადგენი ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ცალების შესახებ.

100. საქართველოს კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

101. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

102. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან სასწავლო-წარმოებრივ და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს მოწყობის შესახებ.

სისხლის სამართალი.

103. სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხლის შეცვლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

104. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347 მუხლის შეცვლის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

88. დადგენილება ს. კ. ს.

„სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

„სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 26-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-6 №-ი, მუხ. 43), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს არა უგვიანეს 1934 წ. მაისის 1-ისა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 26-ის დადგენილებით დაწესებული პირველადი აღრიცხვის ფორმები, გარდა სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების აღრიცხვის მეურნეობითი დავთრისა.

სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების აღრიცხვის მეურნეობითი დავთარი შემოღებულ იქნეს არა უგვიანეს 1934 წ. ივნისის 1-ისა.

შენიშვნა. ნება დაერთოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, აღრიცხვის ახალი დავთრებისა და ფორმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიღებამდე, პირველადი აღრიცხვა სასოფლო საბჭოებში აწარმოონ ცალკეული სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური უწყებების მიერ დადგენილი და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმებით.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 26-ის დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული პირველადი აღრიცხვის ფორმები წარმოადგენს სასოფლო საბჭოების ოფიციალურ დოკუმენტს და მათი წარმოება მტკიცედ უნდა შეესაბამებოდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციებს. ამ დოკუმენტებში რისამე ამოფხეკა ან-ისეთი შესწორების შეტანა, რაც ტექსტში არ იქნება აღნიშნული, არ შეიძლება.

1548

სასოფლო საბჭოების ყველა სააღრიცხვო დოკუმენტი უნდა ინახებოდეს ისე, როგორც ფულის დოკუმენტები და ფასიანი ქაღალდები. პასუხისმგებლობა მათი შენახვისა და დროულად და სისწორით ჩაწერისათვის ეკისრება პერსონალურად სასოფლო საბჭოს მდივანს, რომელიც ამ წესის დარღვევისათვის პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

3. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და სარაიონო აღმასრულებელი კოკომიტეტების თავმჯდომარეებს, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებთან ერთად, მოიწვიონ 1934 წ. 20—25 აპრილამდე სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, მდივნების, სააღრიცხვო მუშაკების და მოანგარიშეების თათბირები, რომლებზედაც ჩატარებულ იქნეს ინსტრუქტაჟი სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის შთანერგვის საკითხების შესახებ.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—შეამზადოს, ხოლო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს 1934 წ. აპრილის 15-მდე სასოფლო საბჭოების სააღრიცხვო ყველა ფორმისა და დავთრის დაბეჭდვა.

5. დაევალოს ა/კ. ქაღალდით მომარაგება-გასაღების ტრესტს—სასოფლო საბჭოების აღრიცხვის და პირველადი დოკუმენტაციის ფორმების დასაბეჭდად გასცეს 15,0 ტონა ქაღალდი.

6. სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მოწესრიგებისა და გამარტივების მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული 753 ათასი მანეთიდან უზრუნველყოფილ იქნეს გამოყოფა:

ა) 456.180 მანეთისა—სასოფლო საბჭოს სააღრიცხვო მომუშავეთა შენახვისათვის იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც სოფლის მეურნეობის მძღვანებელი დარგებია;

ბ) 71.100 მანეთისა—სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის ფორმების და დავთრების ბეჭდვისათვის, რისთვისაც წინადადება მიეცეს საქართვე-

ლოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს აღნიშნული თანხა ცენტრალიზებული წესით გადასცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს;

ბ) 68.527 მან.—რაიონებზე გასანაწილებლად სასოფლო საბჭოების აღრიცხვის მომუშავეების მოგროვების და სასოფლო საბჭოების ძირეული აღრიცხვის მომუშავეების მოკლევადიანი კურსების მოწყობისათვის.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, გამოყოს სასოფლო მეურნეობის მძღვანებელი დარგების მქონე სასოფლო საბჭოები, სადაც მიმდინარე 1934 წლის განმავლობაში უნდა შეიქმნეს აღრიცხვის მომუშავეების სპეციალური თანამდებობა, და ერთი თვის ვადაზე უზრუნველყოს სასოფლო საბჭოების აღრიცხვის მომუშავეების მოგროვება და მომზადება, რისთვისაც გამოყენებულ იქნეს ამა დადგენილების მე-6 მუხ. („ბ“ ლიტ.) გათვალისწინებული 68.527 მანეთი.

8. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს—გაუწიონ სისტემატური ინსტრუქტაჟი სასოფლო საბჭოებს პირველადი აღრიცხვის დაყენებისა და სისწორით წარმოებისათვის მეთვალყურეობის საქმეში.

დაევალოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორებს—დაუყოვნებლივ აცნობონ ხოლმე პროკურატურის ორგანოებს, დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად, ყველა შემჩნეული შემთხვევა ბოროტმოქმედებისა და გულგრილობისა, რასაც შედეგად მოჰყვა აღრიცხვის მოშლა და დამახინჯება.

9. დაევალოს მომარაგების, მსუბუქი მრეწველობის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ-ში და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—გამოყონ საინსტრუქტორო ძალები ცოცხალი ინსტრუქტაჟის უზრუნველსაყოფად სასოფლო საბჭოების აღრიცხვის სათანადო დარგებში.

10. პასუხისმგებლობა სასოფლო საბჭოების აღრიცხვის ცალკეული დარგების მდგომარეობისათვის მომარაგების, მსუბუქი მრეწველობის, მიწათმოქმედების და ფინანსთა სახალხო კომისარიატების ხაზით დაეკისროს სახალხო კომისართა პირველ მოადგილეებს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქ. სსრ-ში) სამმართველოს და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ხაზით—ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოადგილეებს.

11. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს—სისტემატურად მოი-

სმინონ ხოლმე მოხსენებები ამა დადგენილების განხორციელების საქმის მსვლელობის შესახებ და დეკადაში ერთხელ მოაწოდონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია სასოფლო საბჭოების აღრიცხვის შთანერგვისათვის წარმოებული მუშაობა.

12. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს—დააკისრონ თავიანთ მოადგილეებს ყოველდღიური მეთვალყურეობის გაწევა სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის შთანერგვის მიმდინარეობისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯ. დომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 2.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

89. დადგენილება ს. კ. ს.

„საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ერთპიროვნულ მეურნეთა თესვის გეგმის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 26-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

„საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ერთპიროვნულ მეურნეთა თესვის გეგმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 26-ის დადგენილების თანახმად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 73 №-ი 1934 წ. მარტის 27-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს: ა) არ დაადგინონ 1934 წელს თესვის გეგმა იმ ერთპიროვნულ მეურნეთათვის, რომელნიც გადადიან მუდმივ მუშაობაზე საბჭოთა მეურნეობებში ამ მეურნეობებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე ისეთი ვადით, რაც ნაკლები არ იქნება ერთ სასოფლო-სამეურნეო სეზონის პერიოდზე; ბ) გაანთავისუფლონ აღნიშნული კატეგორიის ერთპიროვნული მეურნენი 1934 წელს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებისაგან.

2. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, 1934 წ. მუშა-ძალით საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის მიზნით, შეუდგნენ ერთპიროვნულ მეურნეთა მოგროვებას შრომითი ხელშეკრულებების დადების წესისამებრ, ვადით არა ნაკლებ ერთი სასოფლო-სამეურნეო წლის პერიოდისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯ. დომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 3.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 79 №-ში 1934 წ. აპრილის 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90. დადგენილება ს. კ. ს.

„თამბაქოს სავალდებულო დარგვისა და 1934 წლის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის გეგმის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მე-6 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 5-ის დადგენილებისა „თამბაქოს სავალდებულო დარგვისა და 1934 წლის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-7 №-ი, მუხ. 74) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. მოსავლიანობის გადიდების სტიმულირებისა და კონტრაქტანტების უფრო მეტად დაინტერესების მიზნით მიეცეს ზედმეტი თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი რეალიზაციის უფლება იმ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს, რომელთაც სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმა მთლად შეასრულეს რაოდენობისა და თვისების მხრით, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესაბამისად.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების შემდეგ დარჩენილი ზედმეტი თამბაქოს თავისუფალი რეალიზაციის უფლება ეძლევათ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს თამბაქოს ჩაბარების გეგმის რესპუბლიკაში მთლიანად შესრულების შემდეგ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის ნებართვით.

უფლება მიეცეს იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების მიხედვით, გაანაწილონ ზედმეტი თამბაქოს 50% ნატურად კოლმეურნეთა შორის შემოსავლი განაწილების წესით“.

2. წინადადება მიეცეს „ტაბაკსირიოს“ საქართველოს კონტორას და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მიაწვდინონ ეს დადგენილება კოლექტიური მეურნეობების ცნობამდე და დაავალონ მათ მაქსიმალურად გამოიყენონ აღნიშნული შეღავათი თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისა და თვისების გაუმჯობესების ძიზნით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 10.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91. დადგენილება ს. კ. ს.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშის გასწორების წესის შესახებ.

„სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშის გასწორების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 28-ის თარიღის და 662 №-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და კოლექტიურ მეურნეობებს—შეამოწმონ 1934 წლის მაისის 15-მდე 1931,1932 და 1933 წლების ურთიერთი ანგარიშები როგორც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლექტიური მეურნეობებისათვის გაწეული საწარმოო მომსახურეობისა და კოლექტიური მეურნეობების მიერ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის გადაცემული ქონებისა და პროდუქციის სასყიდლის ხაზით, ისე სხვა ურთიერთი ანგარიშების ხაზით, და საბოლოოდ დაადგინონ აღნიშნული ვადისათვის ამ ანგარიშებიდან გამომდინარე ურთიერთი პრეტენზიების რაოდენობა.

2. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლექტიური მეურნეობების ურთიერთი პრეტენზიების გამო აღძრული შეუთანხმებლობის განსახილველად და იმ ანგარიშების მოსაწესრიგებლად, რომლებზედაც აღნიშნული ორგანიზაციები ვერ შეთანხმდენ, მოწყობილ იქნეს დაუყოვნებლივ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების ყველა რაიონში, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან, სპეციალური კომისია სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგისა, სარაიონო საფინანსო განყოფილების გამგისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორისა, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელისა და სასოფლო-სამეურნეო ბანკის ადგილობრივი რწმუნებულის შედგენილობით.

დაეკისროს აღნიშნულ კომისიას:

ა) განიხილოს და გადაწყვიტოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის მოუწესრიგებელი ანგარიშების გამო წარმოშობილი ყოველი შეუთანხმებლობა;

ბ) წარუდგინოს რესპუბლიკანურ კომისიას (მუხ. 3) დასკვნა ცალკეული მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შუამდგომლობის გამო დავალიანების პროლონგაციის ან ჩამოწერის შესახებ.

შენიშვნა. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სარაიონო კომისიების ნაცვლად, მოეწყობა, ამა მუხლში აღნიშნული ფუნქციებით, კომისია ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის და საოლქო საფინანსო და სამიწათმოქმედო განყოფილებების წარმომადგენლებისა, სამანქანო-სატაქტორო სადგურის დირექტორისა და სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმომადგენლების შედგენილობით.

3. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშების მომწესრიგებელი რესპუბლიკანური კომისია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. მათიკაშვილისა, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. თათარიშვილისა, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორის მმართველის ამხ. პ. ლაქტიონოვისა და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორის მმართველის ამხ. გ. ნაფეტვარიძის შედგენილობით.

ასეთივე კომისიები მოეწყობა საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით და სათანადო სამიწათმოქმედო და საფინანსო ორგანოებსა, სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმომადგენლების შედგენილობით.

აღნიშნულ კომისიებს დაეკისროს:

ა) შეადგინონ ჯუმლობითი მოხსენებანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშების მომწესრიგებელი სარაიონო კომისიების მუშაობის შედეგის შესახებ;

ბ) განიხილონ სარაიონო კომისიების მიერ გამოტანილი დასკვნები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი კოლექტიური მეურნეობების დავალიანებისა და კოლექტიური მეურნეობებისადმი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დავალიანების პროლონგაციის ან ჩამოწერის თაობაზე აღძრული შუამდგომლობის გამო და წარუდგინონ თავიანთი წინადადებანი ამ საკითხების გამო, ჯუმლობითი სახით, დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, სსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული კომისიები ამა მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნულ ჯუმლობითს მოხსენებებს და ამა მუხლის "გ" პუნქტში აღნიშნულ წინადადებებს წარუდგენენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კომისიას.

4. დაევალოს სარაიონო კომისიებს—წარუდგიონ არა უგვიანეს 1934 წ. მაისის 20-ისა სათანადო რესპუბლიკანურ კომისიებს:

ა) მოხსენებანი სამანქანო-სატრაქტორო-სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშების მოწესრიგებისათვის წარმოებული თავიანთი მუშაობის შედეგის შესახებ;

ბ) დასკვნები კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შუამდგომლობაის გამო დავალიანების პროლონგაციისა და ჩამოწერის შესახებ.

დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კომისიებს—წარუდგინონ იგივე ჯუმლობითი მასალები

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კომისიას — უგვიანეს 1934 წ. მაისის 25-ისა.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კომისიას—ჯუმლობითი მოხსენება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშების მოწესრიგებისათვის წარმოებული მუშაობის შედეგების შესახებ და წინადადებანი (ჯუმლობითი სახით) სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლექტიური მეურნეობების მიერ დავალიანების პროლონგაციისა და ჩამოწერის თაობაზე აღძრულ შუამდგომლობათა შესახებ წარმართოს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატში, ხოლო ამ მოხსენებისა და წინადადებების ასლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1934 წ. ივნისის 1-ისა.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნული მუშაობის ჩატარების დროს კომისიები იხელმძღვანელებენ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობასთან შეთანხმებით, გამოცემულ ინსტრუქციას.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ, აღნიშნული ინსტრუქციის მიღებისთანავე, მიაწოდოს იგი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშების მომწესრიგებელ რესპუბლიკანურ და სარაიონო კომისიებს.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ოქტომრის 15-ის დადგენილება „კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ანგარიშის გასწორების წესის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ 1933 წ. 25 №-ი, მუხ. 322) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 86 №-ში 1934 წ. აპრილის 12.

ვაჭრობა. მომარაგება

92. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

„სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ.

„სამინდე გამოსაღების შესახებ 1933 წლის მარტის 4-ის დადგენილების მე-9 მუხლის შენიშვნის გაუქმების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს 1934 წლის იანვრის 7-ის დადგენილების შესაბამისად (ოქმი № 58, § 3), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-4 მუხლი 1932 წ. დეკემბრის 22-ის დადგენილებისა „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 34) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის გადახდევინებული თანხებიდან 40% ჩაირიცხება საერთო-საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში და 60%—სათანადო სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტებში და ეს უკანასკნელი თანხა განაწილდება იმ წესის შესაბამისად, რაც დადგენილია სახელმწიფო ნატურჩაბარებათა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადებული ჯარიმების გასანაწილებლად („კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების მტკიცე ვალდებულებათა პირველად შეუსრულებლობის გამო გადასახდელის დადების წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 27-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტი—საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 25 №-ი, მუხ. 323).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1934 წ. აპრილის 2.
ტფილისი.

---

93. დადგენილება ს. კ. ს.

ხმარებიდან გამოსული ავტო-მოტო-რეზინის „რეზინოსბიტის“ ამიერკავკასიის კონტორისათვის ჩაბარების შესახებ.

„კაუჩუკის რეგენერაციის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. თებერვლის 23-ის დადგენილებისა (ოქმი № 5 1933 წ. თებერვლის 27-ისა) და „ხმარებიდან გამოსული რეზინის ნაკეთობათა ჩაბარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკას“ 836 №-ი 1933 წ. ოქტომბრის 12-ისა) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას—ჩააბაროს, ერთი დეკადის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, დაწესებულ ფასად, „რეზინოსბიტის“ ამიერკავკასიის კონტორის საწყობებს შემდგომი ექსპლოატაციისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვარგისი მთელი ავტო-პნევმატიკა, ე. ი. ავტო-მოტო, ჰაერო-გადასახურავები და კამერები, და შემდგომშიაც ჩააბაროს ხოლმე ასეთი ნაკეთობა კვარტალში ერთხელ მაინც. ქალ. ტფილისის გარეშე მყოფმა ორგანიზაციებმა უნდა გადაგზავნონ ავტო-პნევმატიკა რკინის გზით იმავე მისამართით.

2. ძველი ავტო-პნევმატიკის მიყიდვა და მიცემა სხვა ორგანიზაციებისათვის გარდა „რეზინოსბიტისა" სასტიკად აკრძალულია.

3. წინადადება მიეცეს „რეზინოსბიტის" ამიერკავკასიის კონტორას უზრუნველყოს ძველი ავტო-პნევმატიკის დაუცადებელი მიღება საწყობებში და კონტროლის გაწევა ზემოაღნიშნული ორგანოების მიერ ამა დადგენილების შესრულებისათვის.

4. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას 100 მანეთამდე, რაც დაიდება ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

საქ. სსრ ს. კ. სო-ს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 1.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის 85 №-ში 1934 წ. აპრილის 11.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

94. დადგენილება ს. კ. ს.

ავტოტრანსპორტის მომუშავეთა დაპრემიების შესახებ.

ავტოტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისა, აგრეთვე მტარებლების მიერ მანქანებისადმი გაფრთხილებით მოპყრობისა და სათბობი მასალის და რეზინის ეკონომიით ხარჯვის სტიმულირების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს განსაზოგადოებული სექტორის (სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია) ყველა ავტომეურნეობას დაუყოვნებლივ შემოიღოს ავტო-ტრანსპორტის მომუშავეთა დაპრემიება:

ა) სათბობი მასალის ეკონომიით ხარჯვისათვის;

ბ) რეზინის ეკონომიით გამოყენებისათვის;

გ) მანქანის კარგად შენახვისა და უავარიობისათვის.

2. სათბობი მასალის ეკონომიური ხარჯვისათვის დაწესდეს პრემია ნორმებით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლებ დახარჯული სათბობი მასალის ღირებულების 100%-ის რაოდენობით. ამ ეკონომიის თანხის არანაკლებ 80%-ისა ეძლევა მანქანის მტარებელს, ხოლო დანარჩენი ნაწილი მრეგულირებელთა ბრიგადას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაპატივსადები მიზეზით სათბობი მასალის ნორმებზე გადამეტებით დაბ ხარჯვისათვის მანქანის მტარებელს დაეჭირება ამ გადამეტნახარჯი სათბობი მასალის ღირებულება ორჯერადიდან ხუთჯერადამდე.

დაევალოს ყველა ავტომეურნეობას—გააზუსტოს 5 დღის ვადაზე, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან ან მის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით, სეზონობითი ნორმები სათბობი მასალის ხარჯვისა ერთ კილომეტრ განარბენზე ინდივიდუალურად თვითეული მანქანისათვის, ამ მანქანის მარკისა და ტექნიკური მდგომარეობისა, გზებისა და კლიმატური პირობებისა, სათბობი მასალის თვისებისა და მუშაობის ხასიათის ანგარიშში მიღებით.

აღნიშნული ნორმების გამომუშავების დროს ავტომეურნეობა მოვალეა საფუძვლად მიიღოს სათბობი მასალის ხარჯვის საშუალო ნორმები, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ.

3. რეზინის ეკონომიით გამოყენებისათვის დაწესდეს პრემია ეკონომიით დაზოგვილი რეზინის ფაქტური ღირებულების 100%-ის რაოდენობით.

ამ თანხის არა ნაკლებ 75%-ისა ეძლევა მანქანის მტარებელს, ხოლო დანარჩენი ნაწილი—იმ პერსონალს, რომელზედაც დამოკიდებულია რეზინის დაცვა-შენახვა. რეზინის ხარჯვის ნორმებს (ცალკეული სახის და ზომის გადასახურავის საშუალო განარბენი) აწესებს „რეზინოსბიტი".

4. პრემია მანქანის კარგად შენახვისა და უავარიობისათვის ეძლევა ავტომომუშავეთ 100 მანეთიდან 200 მანეთამდე ბრიგადაზე კვარტალში, მანქანის ტონაჟისა და გავლილი კილომეტრაჟის მიხედვით.

ამ სახის დაპრემირების საფუძველია: მანქანის კარგად მოვლა, უავარიობა, დავალებულ საექსპლოატაციო მაჩვენებელთა შესრულება და სხვა მისთ.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—გამოსცეს 3 დღის ვადაზე, ავტოტრანსპორტის მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

6. მეთვალყურეობის გაწევა ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მარტის 21.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

95. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის მე-2¹ და 14 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აგვისტოს 4-ის დადგენილებაში „სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 21 №-ი, მუხ. 276) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დაემატოს ამ დადგენილებას 2¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„2¹. მუნიციპალური ფონდის სახლებში საცხოვრებელი ფართობის მიღების უფლების მხრით სამეცნიერო მომუშავენი გათანაბრებულ არიან ინდუსტრიალურ მუშებთან“.

2. მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. იმ სახლში, სადაც ბინის ქირის გადახდევინება სწარმოებს ადგილობრივი საბჭოების განაკვეთების მიხედვით, სამეცნიერო მომუშავე დაჭერილი საცხოვრებელი ფართობის ქირას გადაიხდის იმ განაკვეთების კვალობაზა, რაც დაწესებულია „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული დადგენილების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202, შემდგომი ცვლილებებით)“.

3. დადგენილებას დაემატოს მე-14 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„14. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მეცნიერთა დამხმარე კომისიასთან, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით—გამოსცემს ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1934 წ. აპრილის 2.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

96. დადგენილება ს.კ.ს.

„საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მოქმედების განგრძობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 24-ის დადგენილების მოქმედება (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7; მე-15 №-ი, მუხ. 180) განგრძობილ იქნეს 1937 წლის იანვრის 1-მდე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 1.
ტფილისი.

---

79. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე დადებული ჯარიმებისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხების განაწილების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებუ იქნეს „სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე დადებული ჯარიმებისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხების განაწილების წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნა“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ-61).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1934 წ. აპრილის 2.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲠᲝᲛᲐ

98. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს.Კ.Ს.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მომუშავეთა ა/კსფსრ-ის ფარგლებს გარეთ წარვლინების წესის შესახებ.

რათა თავიდან აცილებულ იქნეს საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მომუშავეთა ა/კსფსრ-ის ფარგლებს გარეთ უსაფუძლო წარვლინების შემთხვევები, რამაც მასური ხასიათი მიიღო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს საქართველოს სსრ რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას თავის მომუშავეთა წარვლინება სამსახურის საქმეებზე ა/კსფსრ ფარგლებს გარეთ წინასწარ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებადაურთველად თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

2. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ—გამოიწვიონ უკან დაუყოვნებლივ ა/კსფსრ ფარგლებს გარეთ წარვლინებული ყველა მომუშავე.

3. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ის ხელმძღვანელნი, რომელნიც გადასცდებიან ამა დადგენილებით გათვალისწინებულ წესებს, პასუხს აგებენ სადისციპლინო და სისხლის სამართლის წესით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ სამი დღის ვადაზე ანალოგიური დადგენილებანი მათ ქვემდებარე საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მომუშავეთა ა/კსფსრ ფარგლებს გარეთ წარვლინების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს. კ. ს-ის მაქმეთა მმართველი **ა. ქავთრაძე.**

1934 წ. აპრილის 14.

ტფილისი.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

99. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს.Კ.Ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის სპეციალურ კოლექტორში წარსადგენი ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ცალების შესახებ.

„უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის სსრ კავშირის ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახებ“ სსრ კავ-

შირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 13-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 59 №-ი, მუხ. 355) და „უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 7-ის დადგენილების (ოქმი № 58, § 4) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა პოლიგრაფიული საწარმო მოვალეა უფასოდ წარუდგინოს საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატას, გამოცემის ტირაჟის გამომცემლისათვის გადაცემამდე და საჯაროდ გამოშვებამდე, შემდეგი ბეჭდვითი ნაწარმოებების სავალდებულო ცალები, იმისდამიუხედავად, თუ რა ენაზეა ნაწარმოები გამოცემული:

ა) წიგნი, ბროშურა, ჟურნალი, ბულეტენი და სხვა სალიტერატურო გამოცემა, ორგვერდიანზე მეტი, და აგრეთვე გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული რუკა და გეგმა—47 ცალი;

ბ) ტფილისის გაზეთი სამხარეო და რესპუბლიკური მნიშვნელობისა—45 ცალი;

გ) სხვა გაზეთი—11 ცალი;

დ) სამუსიკო ნოტები—26 ცალი;

ე) გრაფიკული ნაწარმოები (პლაკატი, სქემა, დიაგრამა, ნახატი, პორტრეტი, საკედლე ცხრილი და სხვა მისთ.) და აგრეთვე მხატვრული ნახატიანი განცხადება და აფიშა—7 ცალი;

ვ) ფურცლოვანი გამოცება 1—2 გვერდიანი (განცხადება, აფიშა, ფურცელი, მოწოდება და სხვა მიმსთ.)—7 ცალი;

ზ) ლიტერატურა უსინათლოთათვის—4 ცალი;

თ) დაწესებულებისა და ორგანიზაციების მიერ მინაგრაფზე და სხვა მაშრავლი აპარატის მეშვეობით დაბეჭდილი გამოცემა (საუწყებო მასალა, ერთგვერდიანი საცნობო მასალა, აქედან ბარათიც)—4 ცალი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ სავალდებულო ცალებს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა გაუგზავნის ქვემოთ დასახელებულ ბიბლიოთეკებს ამა დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად:

I. 1) საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის წიგნთსაცავს ტფილისში;

2) საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას ტფილისში;

II. 3) სსრ კავშირის, ვ. ი. ლენინის სახელობის, საჯარო ბიბლიოთეკას მოსკოვში;

4) მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას ლენინგრადში;

III. 5) სრულიად საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას ლენინგრადში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) ვ. გ. კოროლენკოს სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ხარკოვში;

7) აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკას ბაქოში;

8) სომხეთის სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკას ერევანში;

IV. 9) საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკას ტფილისში;

10) საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკას ტფილისში;

V. 11) კომუნისტური აკადემიის ბიბლიოთეკას მოსკოვში;

12) უკრაინის სრულიად სახალხო ბიბლიოთეკას კიევში;

13) ბელორუსიის, ვ. ი. ლენინის სახელობის, სახელმწიფო ბიბლიოთეკას მინსკში;

14) შუა-აზიის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ტაშკენტში;

15) თურქმენისტანის სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკას აშხაბადში;

16) ტაჯიკისტანის სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკას სტალინაბადში;

17) რუსეთის სფსრ წიგნის პალატას მოსკოვში;

VI. 18) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ტფილისში;

VII. 19) აფხაზეთის ავტ. სსრ მუზეუმის ბიბლიოთეკას სოხუმში;

20) აჭარისტანის ავტ. სსრ სახალხო ბიბლიოთეკას ბათომში;

21) სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო ბიბლითეკას ცხინვალში;

22) ცენტრალურ აკადემიურ ბიბლიოთეკას ქუთაისში;

23) ქუთაისის პედაგოგიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკას ქუთაისში;

VIII. 24) ტფილისის სახელმწიფო უნივერსტეტთან არსებული, ენისა, ლიტერატურისა და ხელოვნების, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ბიბლიოთეკას ტფილისში;

IX. 25) განჯის ცენტრალურ ბიბლიოთეკას;

26) ნახჭევანის ბიბლიოთეკას;

27) სტეფანაკერტის ბიბლიოთეკას;

X. 28) ლენინაკანის საქალაქო ბიბლიოთეკას;

XI. 29) საქართველოს რევოლუციის მუზეუმის ბიბლიოთეკას ტფილისში;

XII. 30) სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიბლიოთეკას მოსკოვში;

31) სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიბლიოთეკას ტფილისში;

32) საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიბლიოთეკას ტფილისში;

33) მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას მოსკოვში;

34) შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული გამომგონებლობის საქმეთა კომიტეტის ბიბლიოთეკას ლენინგრადში;

35) სსრ კავშირის სამეცნიერო ლიტერატურის ინდექსების შემდგენელ კომისიას მოსკოვში;

36) მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას ტფილისში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

37) ეჩმიაძინის ბიბლიოთეკას ეჩმიაძინში;

XIII. 38) მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას ბაქოში;

39) მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას ერევანში;

XIV. 40) სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მთავრობის ბიბლიოთეკას მოსკოვში.

3. ბეჭდვითი ნაწარმოებების სავალდებულო ცალებს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა გაუგზავნის:

ა) წიგნს, ბროშურას, ჟურნალს, ბულეტენს და სხვა სალიტერატურო გამოცემას, ორგვერდიანზე მეტს, გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ რუკას და გეგმას (1-ლი მუხლის „ა“ პუნქტი):

ორ ცალად—მე-2 მუხლის 1-8 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ერთ ცალად—მე-2 მუხლის 9-23 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ერთ ცალად ქართულ ენაზე და ერთ ცალად სხვა ენაზე,—საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის კლასიფიკაციის სქემების განსაზღვრული კარების კვალობაზე შერჩევით, დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებისამებრ,—მე-2 მუხლის 24 პუნქტში აღნიშნულ ბიბლიოთეკას;

ერთ ცალად—რუსულ, თურქულ და სომხურ ენაზე—მე-2 მუხლის 25-27 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ერთ ცალად—რუსულ, თურქულ, სომხურ და ქურთულ ენაზე—მე-2 მუხლის 28 პუნქტში აღნიშნულ ბიბლიოთეკას;

ერთ ცალად—საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის კლასიფიკაციის სქემების განსაზღვრული კარების კვალობაზე შერჩევით, დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებისამებრ,—მე-2 მუხლის 29-37 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ერთ ცალად—რუსულ, თურქულ და სომხურ ენაზე—საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის კლასიფიკაციის სქემების განსაზღვრული კარების კვალობაზე შერჩევით, დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებისამებრ,—მე-2 მუხლის 38 და 39 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ბ) ტფილისის გაზეთს სამხარეო და რესპუბლიკური მნიშვნელობისას (1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტი):

ორ ცალად—მე-2 მუხლის 1-8 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ერთ ცალად—მე-2 მუხლის 9-24 და 29-37 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ერთ ცალად—რუსულ, თურქულ და სომხურ ენაზე—მე-2 მუხლის 25-28 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

გ) სხვა გაზეთს (1-ლი მუხლის „გ„ პუნქტი):

ორ ცალად—მე-2 მუხლის 1-2 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ერთ ცალად—მე-2 მუხლის 3-4, 9-10, 24 და 29 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

დ) სამუსიკო ნოტებს (1-ლი მუხლის „დ“ პუნქტი):

ორ ცალად—მე-2 მუხლის 1-8 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ცალად—მე-2 მუხლის 9-17 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

აგრეთვე—ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთიკას;

ე) გრაფიკულ ნაწარმოებს (1-ლი მუხლის „ე" პუნქტი):

ერთ ცალად—მე-2 მუხლის 1-4, 9-10 და 29 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ვ) ფურცლოვან გამოცემას (1-ლი მუხლის „ვ" პუნქტი):

ერთ ცალად—მე-2 მუხლის 1-4, 9-10 და 29 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

ზ) ლიტერატურას უსინათლოთათვის (1-ლი მუხლის „ზ" პუნქტი):

ერთ ცალად—მე-2 მუხლის 1-4 პუნქტში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

თ) დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მინაგრაფზე და სხვა მამრავლი აპარატის მეშვეობით დაბეჭდილ გამოცემას (1-ლი მუხლის „თ„ პუნქტი):

ერთ ცალად—მე-2 მუხლის 1-3 და 40 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლოთეკებს.

4. წიგნის პალიტის კლასიფიკაციის სქემების განსაზღვრულ კართა კვალობაზე ან ენობითი ნიშნის მიხედვით გამოყოფილი სავალდებულო ცალების კომპლექტებიდან დარჩენილ გამოცემებს (მე-3 მუხლის „ა" ლიტერის მე-3-7 ნაწ. „ბ" ლიტერის მე-3 ნაწ.) საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა გადასცემს სხვა წიგნთსაცავებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას უფლება აქვს აგრეთვე გადასცეს თავის საწიგნო ფონდს ბიბლიოთეკებზე გეგმითი განაწილებისათვის ლიტერატურის კომპლექტების ის ნაწილი, რაზედაც ბიბლიოთეკები, რომლებისათვისაც იგია დანიშნული, უარს იტყვიან. ამ კომპლექტების განაწილების წესს ამყარებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

5. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ დააწესონ სავალდებულო უფასოდ მიწოდება: უნივერსალური ხასიათის ბიბლიოთეკებისათვის—უწყებული ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე გამოსული ყველა გამოცემის სრული კომპლექტებისა, ხოლო სპეციალური ბიბლიოთეკებისათვის—უწყებული ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ტერიტორაზე გამოსული გამოცემებისა—ამ ბიბლიოთეკების დანიშნულებისამებრ შერჩევით.

6. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა პოლიგრაფიული საწარმო მოვალეა წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობასთან არსებულ სპეციალურ საბიბლიოთეკო კოლექტორს, ამ უკანასკნელის მოთხოვნით, მასთან (საწარმოში) დაბეჭდილი ყველა წიგნის და ბროშურის 50-მდე სავალდებულო ცალი გამოცემის ტირაჟის გამომცემლისათვის გადაცემამდე და საჯაროდ გამოშვებამდე.

ამასთანავე, სასაქონლო ლიტერატურა მიეცემა კოლექტორს ფასად, ჩვეულებრივი საგამომცემლო მონაკლებით, ხოლო არასასაქონლო ლიტერატურა—უფასოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალური კოლექტორი მოვალეა გაუსწორდეს ექვსი თვის განმავლობაში სათანადო გამომცემლობას მიღებული სასაქონლო პროდუქციისათვის, ხოლო არაგამოყენებული ცალები შეუძლია დაუბრუნოს იმავე ვადაზე.

7. მე-6 მუხლში აღნიშნულ ბეჭდვითი ნაწარმოებების სავალდებულო ცალებს სპეციალური კოლექტორი მიაწვდის ბიბლიოთეკებს (უნივერსალური და სპეციალური ხასიათისას) განსაკუთრებული სიის მიხედვით, რომელსაც აწესებს: საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე ბიბლიოთეკებისათვის—სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა გამგე კომიტეტი, ხოლო რესპუბლიკური მნიშვნელობის მქონე ბიბლიოთეკებისათვის—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა ზედამხედველობას უწევს სპეციალურ საბიბლიოთეკო კოლექტორს მის მიერ მე-6 მუხლის წესისამებრ მიღებულ გამოცემათა დროზე და სათანადოდ წარმართვის სფეროში.

8. საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოს (მთავლიტი) ორგანოებს ეკისრებათ ნება არ დართონ პოლიგრაფიულ საწარმოთ გადასცენ გამოცემის დაბეჭდილი ტირაჟი გამომცემელს, ვიდრე პოლიგრაფიული საწარმო არ წარადგენს დამამტკიცებელ საბუთებს, რომ სავალდებულო ცალები (უფასო და ფასიანი) ჩაბარებულია კუთვნილებისამებრ: ქ. ტფილისში—სახელმწიფო წიგნის პალატისა და სახელმწიფო გამომცემლობის სპეციალური კოლექტორის ხელწერილს (კუთვნილებისამებრ) სავალდებულო ცალების მიღების შესახებ, ხოლო სხვა ადგილას—ფოსტის ქვითარს გზავნილის სათანადო მისამართით ჩაბარების შესახებ, გაგზავნილი ცალების სიის ასლითურთ; იმ შემთხვევაში, როდესაც ცალების წარდგენა საბიბლიოთეკო კოლექტორში საჭირო არ არის, წარდგენილ უნდა იქნეს საამისო ცნობა.

9. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი ყველა გამომცემლობა მოვალეა დააბრონიროს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატისათვის გამომცემლობის მიერ გამოშვებული ყველა ბეჭდვითი ნაწარმოების ხუთ-ხუთი ცალი უცხოეთის გამოცემებზე გაცვლა-გამოცვლის ფონდში შესატანად.

ეს ცალები უნდა ინახებოდეს ერთი წლის განმავლობაში გამოცემის გამოსვლის დღიდან და წარედგინოს წიგნის პალატას მისი მოთხოვნისათანავე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას უფლება აქვს მისცეს გამომცემლობათ მითითებანი—მიაწოდონ მას ესა თუ ის გამოცემა, სპეციალური მოთხოვნის გარეშე.

10. ბეჭდვითი ნაწარმოების ის ცალები, რომელთა შენახვის ვადა (მუხ. 9) უკვე გავიდა, და აგრეთვე ბრონირების დაწესებამდე გამოსულ ნაწარმოებთა ცალები წარდგენილ უნდა იქნეს უფასოდ წიგნის პალატის მოთხოვნილებისამებრ იმ შემთხვევაში, უკეთუ გამომცემლობის საწყობებსა და მაღაზიებში ეს ცალები მოიპოვება.

11. სავალდებულო ცალების წარუდგენლად პოლიგრაფული საწარმოს მიერ პროდუქციის გამოშვება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 205 მუხლის თანახმად.

12. კატეგორიულად აკრძალულია თვითნებისად, საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის უცნობლად, გამოცემათა სავალდებულო ცალების გაყიდვა, გადაცემა ან გაცვლა-გამოცვლა.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რომელიც თვითნებისად გადასცემს ვისმე გამოცემის სავალდებულო ცალებს ან არ უზრუნველჰყოფს ამ ცალების შენარჩუნებას, მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

13. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი გამოსცემს ინსტრუქციებს:

ა) პოლიგრაფიულ საწარმოთა მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატისათვის გამოცემათა სავალდებულო ცალების მიწოდების წესის შესახებ;

ბ) გამოცემათა სავალდებულო ცალების დამუშავებისა, აღრიცხვისა, გამოყენებისა და შენახვის წესის შესახებ;

გ) პოლიგრაფიულ საწარმოთა მიერ საქართველოს სსრ გამომცემლობასთან არსებული სპეციალური საბიბლიოთეკო კოლექტორისათვის ბეჭდვითი ნაწარმოებების მიწოდებისა და კოლექტორის მიერ ამ ნაწარმოებების განაწილების წესის შესახებ.

14. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 23-ის დადგენილება „უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 217; 1933 წ. 21 №-ი მუხ. 284).

საქ სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 7.

ტფილისი.

---

100. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

„საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 64 №-ი, 1934 წ. მარტის 16-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს შემდეგი სტრუქტურა:

ა) სამხატვრო-სასცენარო განყოფილება—თემატიკური დაგეგმვისა, წარმოებისათვის სცენარიების მომზადებისა, საბჭოთა ხელოვნების მომიჯნავე დარგებთან კავშირის დაჭერისა და სამმართველოს ქვემდებარე საწარმოთა სამხატვრო ხელმძღვანელობის ფუნქციებით;

ბ) საექსპლოატაციო განყოფილება—საქართველოს სსრ კინო-ფოტო-მრეწველობის კინო-ფილმების სრულიად საკავშირო ეკრანზე წარმართვის ფუნქციებით;

გ) საფინანსო-საანგარიშო განყოფილება;

დ) ჯუმლობითი დაგეგმვის ჯგუფი;

ე) კაპიტალური მშენებლობის განყოფილება;

ვ) საქმეთა მმართველობა.

2. გაუქმებულ იქნეს სამხატვრო-პოლიტიკური საბჭო.

3. დატოვებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა ხაბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს გამგებლობაში შემდეგი საწარმონი, რომელნიც სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მოქმედობენ:

ა) სამხატვრო, სამეცნიერო, სასწავლო და სატექნიკო ფილმების მწარმოებელი ფაბრიკა—ექვსი ცეხით და შემდეგი განყოფილებებით: საგეგმო-ეკონომიური და ტექნიკური განყოფილებებით, ბუხჰალტერიით, საადმინისტრაციო-სამეურნეო განყოფილებით და საწყობით;

ბ) მკოპირებელი ფაბრიკა—ექვსი ცეხით და შემდეგი განყოფილებებით: ფოტო-პროდუქციის წარმოებისა და გავრცელებისა („საქფოტო") და სარედაქციო განყოფილებებით, ბუხჰალტერიით და საწყობით;

გ) კინოფიკაციისა და ფილმების წარმართვის კონტორა („საქკინო")—შემდეგი განყოფილებებით: კინო-ქსელისა, საექსპლოატაციო (ფილმების საწყობით) და საგეგმო-ეკონომიური განყოფილებებით, ბუხჰალტერიით, კანცელარიით, ხმოვანების ლაბორატორიით და სარემონტო სახელოსნოთი;

დ) კინო-ქრონიკის წარმოების ბიურო („საქკინოქრონიკა").

4. გაუქმებულ იქნეს: ა) ფოტო-მრეწველობის რესპუბლიკანური კონტორა („საქფოტო"), და მისი ფუნქციები გადაეცეს მკოპირებელ ფაბრიკას, და ბ) სამშენებლო კონტორა „საქკინომშენი".

5. ლიკვიდირებულ იქნეს კინო-ქრონიკის წარმოების ბიუროსთან არსებული სარედაქციო კოლეგია, და მისი ფუნქციები დაეკისროს პასუხისმგებელ რედაქტორს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტო მრეწველობის სამმართველოს;

ა) შეამციროს აღნიშნული სამმართველოს და მის ქვემდებარე საწარმოთა შტატი 192 ერთეულიდან 132 ერთეულამდე („საქკინოს" განყოფილებათა და ბაზისების გამოკლებით);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეამციროს „საქკინოს“ განყოფილებების და ბაზისების შტატი 1934-ით 1933 წლისათვის დამტკიცებული ამ ორგანოების შტატებთან შედარებით;

გ) გააძლიეროს ქვედა რგოლეულები ცენტრალური ორგანოების რეორგანიზაციის შედეგად განთავისუფლებული კადრებით და, კერძოდ, გააძლიეროს კინო-ბაზისების ხელმძღვანელი შედგენილობა;

დ) გარდაქმნას ერთი დეკადის ვადაზე ცენტრალური აპარატის და საწარმოთა მუშაობა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1934 წ. მარტის 15-ის, დადგენილების საფუძველზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1934 წ. აპრილის 4.

ტფილისი.

სოციალური უზრუნველყოფა

101. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის აპარატში მმართველობის ფუნქციონალური ფორმების თავიდან აცილების მიზნით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ. კან.კრ. 1934 წ. № 15, მუხ. 103; ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 64 №-ი 1934 წ. მარტის 16-ისა), ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა:

ა) საერთო განყოფილება;

ბ) სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის განყოფილება;

გ) საგეგმო-საფინანსო განყოფილება;

დ) სპეციალური განყოფილება.

2. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან ამ კომისარიატის სისტემის სამეურნეო ორგანიზაციების სასწავლო სახელოსნოთა და საწარმოთა გაერთიანებული სამმართველო.

გაძლიერებულ იქნეს ამ ორგანიზაციებში კულტურულ-მასური მუშაობა.

3. ინვალიდთა კოოპერატიული არტელების მუშაობის გაჯანსაღებისა და ეკონომიკურად და ფინანსურად გაძლიერების მიზნით ეს არტელები გაერთიანებულ (გადიდებულ) იქნეს სადარგო ნიშნების მიხედვით.

4. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაამტკიცოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შტატი.

სრ საქ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. აპრილის 9.
ტფილისი.

---

102. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან სასწავლო-წარმოებრივ და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემის სასწავლო-წარმოებრივ და წარმოებრივ საწარმოთა მთელი ქსელისათვის ერთიანი საგეგმო-ოპერატიული და ტექნიკური ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან სასწავლო-წარმოებრივ და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველო, რომელიც მოქმედობს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და იურიდიული პირის უფლებებით.

2. გადაიცეს აღნიშნული სამმართველოს გამგებლობაში სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ყველა საწარმო (მათ შორის ომის ინვალიდთა სრულიად საქართველოს საზოგადოებისაგან გადასული საწარმონი), აგრეთვე სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების და სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების და მათი ადგილობრივი ფილიალების ყველა საწარმო.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულ სასწავლო-წარმოებრივ და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

ა) გაუწიოს უშუალო ოპერატიულ-სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა გაერთიანებულ საწარმოთ, ჰმართოს ეს საწარმონი და დაგეგმოს და მოაწესრიგოს მათი საწარმოო საქმიანობა;

ბ) გაამსხვილოს და რეკონსტრუქტირებულჰყოს არსებული და მოაწყოს ახალი სასწავლო-წარმოებრივი და წარმოებრივი საწარმონი, მათი მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნით ადგილობრივი უდეფიციტო ნედლეულის, მრეწველობის ნარჩენის უტილის გამოყენებისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები სმიერ მომსახურეობა-გასაწევ მუშათა კონტინგენტის (მათშორის უსინათლოთა, ყრუ-მუნჯთა და წითელარმიელთა ოჯახების) შრომის მაქსიმალური გამოყენების ბაზისზე;

ბ) მოამარაგოს გაერთიანებული საწარმონი წარმოების საშუალებებით, ნედლეულით და მასალით;

დ) გაასაღოს ამ საწარმოთა მიერ გამომუშავებული პროდუქცია მრეგულირებელი ორგანოების დირექტივების შესაბამისად;

ე) შეიმუშაოს ღონისძიებანი გაერთიანებულ საწარმოთა შეგირდებისა და მუშებისათვის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაწევად და აგრეთვე მოამზადოს და გარდაამზადოს ინვალიდები საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მეთოდოლოგიურ მითითებათა და მის მიერ დამტკიცებულ სასწავლო პროგრამათა მიხედვით.

4. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულ სასწავლო-წარმოებრივ და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს გამგებლობაში მყოფ საწარმოთა შემოსავალი ხმარდება ომის ინვალიდთა საზოგადოებისა, ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისა და უსინათლოთა საზოგადოების მიერ გაერთიანებული კონტინგენტებისათვის კულტურულ-მასური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის მიზნებს, მოგების იმ ნაწილის გამოკლებით, რაც, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, შედის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში და, აგრეთვე, რაც მიიქცევა საწარმოთა გაფართოებისა და საკუთარ საბრუნავ სახსართა გაძლიერებისათვის.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს:

ა) მიიღოს ერთი დეკადის ვადაზე გასაერთიანებელ საწარმოთა საქმეები და ქონება იმ მდგომარეობის მიხედვით, რაც გადაცემის დღეს იქნება;

ბ) გაწმინდოს და შეადგინოს ერთი თვის ვადაზე მისაღებ საწარმოთა ჯუმლობითი ბალანსი 1934 წლის აპრილის 1-თვის;

გ) განსაზღვროს ერთი თვის ვადაზე, ჯუმლობითი ბალანსის შედგენის შემდეგ, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სასწავლო-წარმოებრივ და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს საწესდებო კაპიტალის რაოდენობა და აგრეთვე აღნიშნული სამმართველოს იმ საწარმოთა საწესდებო კაპიტალების რაოდენობა, რომელნიც გამოყოფილ უნდა იქნენ დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე;

დ) გაამსხვილოს 1934 წ. ივლისის 1-თვის აღნიშნული სამმართველოს გამგებლობაში გადასული საწარმონი, გადაიყვანოს ისინი დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე და დაამტკიცოს მათი წესდებანი;

ე) შეიმუშაოს და წარმოუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად სასწავლო-წარმოებრივ და წარმოებრივ საწარმოთა სამმართველოს წესდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) დანიშნოს აღნიშნული სამმართველოს ხელმძღვანელი პერსონალი;

ზ) გამოიყენოს აღნიშნულ სამმართველოს და მის გამგებლობაში მყოფ საწარმოთა აპარატში სამუშაოდ მომუშავე აქტივისტები სათანადო საზოგადოებებში გაერთიანებულ უსინათლოთა, ყრუ-მუნჯთა და ომის ინვალიდთაგან;

თ) უზრუნველყოს აღნიშნული სამმართველოს გამგებლობაში გადასულ-საწარმოთა მიმდინარე შემოსავლიდან 1934 წელს ომის ინვალიდთა, ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა, დახმარების საზოგადოებების კულტურულ-მასური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობის დაფინანსება ამ საზოგადოებათა ორგანოების მიერ შედგენილი და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისაგან დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების თანახმად.

6. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ერთი დეკადის ვადაზე ანალოგიური ღონისძიებანი სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების სისტემის საწარმოთა სასწავლო-საწარმოო და საწარმოო საქმიანობის რეორგანიზაციის სფეროში.

7. წინადადება მიეცეს ომის ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს საზოგადოებას, სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას და სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას—შეიტანონ ერთი თვის ვადაზე თავიანთ წესდებებში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი და წარადგინონ ეს წესდებანი დასამტკიცებლად დადგენილი წესისამებრ.

მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას—წარუდგინოს დასამტკიცებლად საკანონმდებლო ორგანოებს პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ **ვ. ლუნკევიჩი.**

1934 წ. აპრილის 14.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

103. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხლის შეცვლის შესახებ.

„მამათმავლობისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1934 წ. მარტის 7-ის დადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„168. მამათმავლობა, ე.ი. სქესობრივი კავშირი მამაკაცისა მამაკაცთან გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამი წლიდან ხუთ წლამდე.

მამათმავლობა, ჩადენილი ძალადობით ან დაზარალებულის დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენებით —

თავისუფლების აღკვეთას ხუთი წლიდან რვა წლამდე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ საქ ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1934 წ. აპრილის 2.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 98 №-ში 1934 წ. აპრილის 27.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

104. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს

ხისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347 მუხლის შეცვლის შესახებ.

„სახალხო სასამართლოს განაჩენთა განსაჩივრების უფლების გაფართოების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წ. ივლისის 17-ის დადგენილების შესაბამისად (ოქმი № 72) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხთ კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-9—10 №-ი, მუხ. 128) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„347. საბოლოოა და არ განისაჩივრება, ხოლო შეიძლება ზედამხედველობის წესით გაუქმდეს და შეიცვალოს სახალხო სასამართლოს შემდეგი განაჩენი და გადაწყვეტილება:

ა) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 64, 67, 73, 84, 88, 90, 92, 97, 98, 99, 100, 102, 103, 103¹, 103², 103²ა, 103³, 104, 106, 111, 128, 129, 130, 131, 132, 133, 174, 175, 178, 200, 203, 204, 205, 206, 208, 208¹ და 209 მუხლების თანახმად გამოტანილი განაჩენი, უკეთუ ამ განაჩენით სოციალური დაცვის ღონისძიებად გადაწყვეტილია იძულებითი მუშაობა სამ თვემდე—თანჩართვით, საზოგადოებრივი გაკიცხვა, გაფრთხილება ან ფულადი ჯარიმა არა უმეტეს ასი მანეთისა;

ბ) გადაწყვეტილება ამა კოდექსის 261 მუხლის წესისამებრ გადასახდელის დადების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაწყვეტილება ამა კოდექსის 267 და 341 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღმკვეთი ღონისძიების მიღების შესახებ".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ო თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1934 წ. აპრილის 2.

ტფილისი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 19. 3/მ **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 1¾ ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 21/IV, ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V. ტირაჟი 1.600.

მთავლიტი ს.—№ 32 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 756